ქართული

თარღი, სამშაბათი **2020** წლის **31** მარტი

დამატებითი ინფორმაცია

ყველა აქამდე მიღებული შეზღუდვა ძალაში რჩება, 13 მარტის შეზღუდვებს დაემატა შემდგომი შეზღუდვები რომლეიბც 1 აპრილიდან მოქმედებენ:

ზოგად სახლის ან საცხოვრებლის განსაკუთრებული მიზეზის გარეშე დატოვება ისჯება კანონით!

დამატებითი ინფორმაცია

სახლის დატოვების უფლება გეძლევათ მხოლოდ ჩამოთვლილ შემთხვევებში**:**

-საერთო მომარაგების ქსელის ქმედითუნარიანობის შესანარჩუნებლად, იგულისხმება მოტანისა და მომარაგების სერვისები, მაშინაც თუ ამ სერვისს მოხალისის როლში ასრულებთ და ვინმეს ეხმარებით მომარაგებაში

-იმისათვის რომ საფოსტო და სატვირთო გზავნილების სერვისები გამოიყენოთ

-მეუღლის, პარტნიორის ან საერთო თანაცხოვრებაში მყოფი პირების მოსანახულებლად, მათ მოსანახულებლად ვისაც თქვენი დახმარება ესაჭიროება, ავადმყოფი ან შშმ პირების მოსანახულებლად და მაშინაც თუ აუცილებლად უნდა იზრუნოთ ან დაეხმაროთ ვინმე პირს.

-არასრულწლოვანის ან თქვენს დახმარებაზე დამოკიდებული ადამიანის დასახმარებლად

-ასევე არ იკრძალება მომაკვდავი ოჯახის წევრების მონახულება და დაკრძალვის ცერემონიაზე მონაწილეობის მიღება. დაკრძალვას არ უნდა ესწრებოდეს 15 ადამიანზე მეტი.

-იკრძალება სავადმყოფოებსა და მოხუცთა თავშესაფრებში შშმ პირებისა და ავადმყოფების მონახულება. ეს აკრძალვა ეხება საავადმყოფოებსა და რეაბილიტაციის ცენტრებს.

-აკრძალვა არ ეხებათ მხოლოდ უახლოეს ოჯახის წევრებს სამშობიარო სახლში მონახულებაზე, და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პალიატიურ განყოფილებებში მომაკვდავი ნათესავების მონახულებას. ყოველი ვიზიტი უნდა შეათანხმოთ კლინიკს ან დაწესებულების მიმღებ განყოფილებასთან.

პოლიციას და შესაბამის საკონტროლო ორგანოებს აქვთ უფლება ქუჩაში მოძრაობის დროს გაგაჩერონ და მოგთხოვონ სახლის დატოვების მიზეზის წერილობით წარდგენა**.** ასეთი დეკოუმეტაცია შეგიძლიათ მიიღოთ სამსახურში ან უნდა წარადგინოთ თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია**.**

კანონის დარღვევის შემთხვევაში დარღვევა დაისჯება შემდეგი სასჯელით

- საცხოვრებლის უმიზეზოდ დატოვება **150** ევრო

-უნებართვოდ ვინმეს მონახულება **500** ევრო

ეს კანონი ძალაშია 1.4.2020 დან 20.4.2020 მდე

გაითვალისწინეთ ქალაქებსა და კომუნალურ ცენტრებს აქვთ უფლება კანონის მოდიფიკაციის, ამიტომ თუ არ ცხოვრობთ დრეზდენში გთხოვთ გაეცნოთ თქვენი ქალაქის ან იურიდიული ოლქის კანონებს.